



კვირა, 6 მარტი  
**№ 10—1916**

ფასი  
 10 კ.

**წელიწადი**  
**მ ე ო თ ხ ე**

მიიღება ხელის მოწმობა 1916 წ. შურ.  
 "თეატრი და სპორტები"  
 (წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-2 გვ.)

პირველი ქართ. გაზ.

1866—



"დროების" რედაქტორები

—1916



გიორგი წერეთელი  
 (პირველი რედაქტორი,  
 რედაქტორობდა 1866 წ.  
 4 მარტიდან 1869 წ-დე).

სერგეი მესხი  
 (მეორე რედაქტორი, რედაქტორობდა  
 1869—83 წ.წ.).



ივანე მაჩაბელი  
 (მესამე რედაქტორი, რე-  
 დაქტორობდა 1883—85  
 წლამდე).

\*(გაზ. "დროების" პირველი ნომერი გამოვიდა 1866 წ. 4 მარტს, უკანასკნელი—1885 წ. 14 ენკენისთვის).

პირველი ქართული გაზეთის "დროების" გამოცემიდან 50 წლის შესრულების გამო.



## დანიელ ჭონქაძის ხსოვნას

ბედ-განწირულთა, დაჩაგრულთა ტანჯვის შეტყველო,  
მაშვრალთა მწარე წარსულთა მწარედ მომთქმელო—  
აჰა, ღვთიური ენა შენი კვალად შეტყველებს  
და ხმა სიმაართლის ეფინება სამშობლოს ველებს.

შენ გრძნობის წიგნზე აღმოკვეთე ხალხის სვე-ბედი,  
შენ იყავ გლეხთა მოციქული და შემოქმედი,  
შენ აღამაღლე მძლავრთა მიმართ ხმა სიმაართლისა,  
შენ დააპკურე უკვდავება, ჰანგი მადლისა.

და დღეს, მუხლს იყრის შენს წინაშე შენი ქვეყანა,  
ქართველი დედა, გულ-ამოსკვნიო სტირის შენთანა,  
კას შეჭლადღებს შენს დიდებას წმიდა გულითა  
და შენს წინაშე მეც მუხლს ვიდრეც სიყვარულითა.

ვინც ჩააკეცე უკვდავება კაცთ გულის თქმამდე,—  
იყავ კურთხეულ, ამიერიო უკუნისამდე!

დარია ახვლედიანი





№ 10

წელიწადი  
მეოთხე

რედაქციის განცხადება

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საქართველისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირიპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთ 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифლის, Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили.

№ 10

კვირა, 6 მატი

1916 წ.

## უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან

I

დღევანდელმა ომმა ბევრი იმედი გააქარწყლა, ბევრი ეჭვი დაბადა, ბევრი რამ შეარყია და გარკვეული და ჩამოყალიბებული მცნებები ხელახლა გასარკვევი გახდა.

ერთი ამ გვარი მცნებათაგანია დამოკიდებულება პროლეტარიატსა და სამშობლოს შორის.

პროლეტარიატი არის კლასი, რომელსაც არა გააჩნია—რა საკუთარი კუნთების, საკუთარი სამუშაო ძალ-ღონის მეტი. მიუხედავად ამისა მას არა აქვს უფლება, ის ვერ იტყვის: სადაც ჩემ სამუშაო ძალას გავყიდი, სადაც ლუკმასა ვქამ, ჩემი სამშობლოც იქ არისო.

ამის თქმა ხომ ადამიანის გაპირუტყვება იქნებოდა.

პროლეტარიატი არის ერის ნაწილი. ერსა აქვს საკუთარი წარსული, საკუთარი აწმყო, საკუთარი მომავალი,—ერთის სიტყვით საკუთარი ისტორია, საკუთარი სული; ეს ისტორია, ეს სული მხოლოდ მისია, მას ეკუთვნის, სხვაგან იგივე არ მოიპოვება და პროლეტარიატი მკიდროდ არის შეკავშირებული ამ ეროვნულ ისტორიასთან, ეროვნულ სულთან. ეს კავშირი ბუნებრივია, აუცილებელი და ამიტომ ბუნებრივია, აუცილებელი პროლეტარიატისათვისაც თვით სამშობლო.

დღევანდელმა ომმა ეს ცხადზედ უცხადესათ გაჰხადა.

ვეროპის პროლეტარიატს რომ მოენდომებია, ომი არ იქნებოდა.

გერმანიის პროლეტარიატს რომ საყოველთაო გაფიცვა გამოეცხადებია, გერმანიის მილიტარიზმი უძლური იყო,—მას ქედი უნდა მოეხარა. რატომ არ მოხდა ასე?

ახსნას ვერც მთავრობის ძლიერება მოგვცემს, ვერც სასტიკი შურის ძიების შიში.

ამგვარ ახსნას რომ ყოველთვის საბუთი ჰქონდეს, დემოკრატიის მთელი მომავალი ყოველად უნუგეშო იქნებოდა.

ახსნა უნდა ვეძიოთ მხოლოდ იმ კავშირში, იმ სულიერ კავშირში, რომელიც პროლეტარიატსა და სამშობლოს შორის არსებობს.

როდესაც გერმანიის პროლეტარიატმა სამშობლო განსაცდელში დაინახა, მთავრობას წინ აღარ გადაედგა, ეროვნულმა გრძნობამ იფეთქა მასში.

ჩვენში ხშირათ სამშობლოს აღიარება ნაციონალიზმის აღიარება ჰგონიათ და დარწმუნებული არიან: თუ სამშობლოს აუცილებლობა ვიწამეთ და ვაღიარეთ, მაშინ ნაციონალისტი ვიქნებითო.

ეს, რასაკვირველია, დიდი შეცდომაა და გაუგებრობა.

სამშობლო არის მხოლოდ ერთი თვისი ტერიტორიითა და კულტურით.

ნაციონალიზმი არის ერთგვარი პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც იცავს ერთი ერის სრულ ბატონობას.

ჩემი სამშობლო არის რუსეთი, რუსეთი მხოლოდ რუსებისათვის,—იტყვის რუსის ნა-



ციონალისტი; აქედან თავისთავად გამომდინარეობს დანარჩენი ერების უფლებათა შევიწროება და შეზღუდვა.

თუ სხვები არ შეიზღუდნენ, ცხადია, მაშინ რუსეთი ყველასი იქნებოდა, არა მარტო რუსებისა.

ჩემი სამშობლოა რუსეთი, მაგრამ იგივე რუსეთია ბევრი სხვა ერის სამშობლო,—იტყვის რუსის დემოკრატი; აქედან თავის თვალთვლიდან გამომდინარეობს რუსეთის ყველა ერების უფლებრივი გათანასწორობა.

ორთავე—ნაციონალისტიც და დემოკრატიც—აღიარებენ ერთ რუსეთს თავის სამშობლოდ, მაგრამ მათს შეხედულებაში რა არის საერთო? სრულებით არაფერი. ერთი იახოვს არა რუსთა დევნა-შევიწროებას, მეორე კი ყველას გათანასწორობას რუსებთან.

საკვირველი იქნებოდა რუსის დემოკრატს სამშობლოზე ხელი აედო მხოლოდ იმ შიშის გამო, ვთუ თუ ნაციონალისტს დაგემზავსო.

ნაციონალიზმის დროშა დემოკრატიის დროშა არ არის; დემოკრატია ამ დროშას ვერასოდეს ვერ ამოუღებდა. მაგრამ დემოკრატიას შეუძლია ამა თუ იმ შემთხვევაში ეროვნული ანუ ნაციონალური მოთხოვნილება წამოაყენოს.

როგორ, რა ნაირათო? იტყვის მკითხველი. თუ ნაციონალიზმი დემოკრატიის მოძღვრება არ არის, მაშ როგორ შეუძლია მას რაიმე ნაციონალური მოთხოვნილების წამოყენებაო.

ამგვარი აზრთა არევა აჩვენებს ჩვენში: ნაციონალიზმი და ნაციონალური ერთი და იგივე ჰგონია ბევრს, ნამდვილათ კი სხვა და სხვა მცნებაა სრულებით.

შეიძლება ნაციონალისტი არ ვიყო, მაგრამ ნაციონალურ მოთხოვნილებას მხარი დაუჭირო.

ნაციონალიზმი არის ერთგვარი პოლიტიკური მოძღვრება. ერთგვარი მსოფლმხედველობა, ნაციონალური კი ანუ ეროვნული არის ყოველისფერი, რაც ერის კეთილდღეობას, ერის ინტერესებს ასე თუ ისე ეხება.

ავიღოთ სულ უბრალო მაგალითი: ქართულ ენაზე სწავლება ჩვენს სასწავლებლებში.

ეს არის ეროვნული, ნაციონალური მოთხოვნილება. დემოკრატი უსათუოთ დაუჭერს მხარს ამგვარ მოთხოვნილებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის განაციონალისტა.

დემოკრატიას შეუძლიან ნაციონალური ანუ ეროვნული საკითხი წამოაყენოს ამა თუ იმ სახით და ასე თუ ისე გადასჭრას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმის განაციონალისტებას.

*ვ. კუჩუხელი*

# დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე

და მისი

„ს უ რ ა მ ი ს ც ი ხ ე“

(კრიტიკული ესკიზი)

სიტყვა-კაზმულ მწერლობის საგანია არა თუ მხოლოდ ესტეტურ გრძნობის ადჰერა და გაძლიერება, არამედ ადჰერა გონებითი (ინტელექტუალურ) და ზნეობითი გრძნობებისაც... ზოგჯერ უნდა იყოს არა თუ მხოლოდ სადღმთო სადღმთოდ გასაგანი, არამედ მსმენელთათვის დიდი მარგიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაატკბავს მხოლოდ ბედით გამოუფიქრებლს და კუჭში აძღვრებს... მას არ ექნება ხალხისთვის არავითარი მნიშვნელობა... ქართული ზოგჯერ მეტრისა-მეტე საუკუნეში თანდათან უახლოვდებოდა ხალხს და მის ნამდვილ ცხოვრებას... მასუკან, რაც უკვდავმა მკაცრმა ნიკ. ბახათაშვილმა წარმოასთქვას თვისი კლასიკური სიტყვები:

„უქმად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება... და ჩემ შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!“

ქართული ზოგჯერ ხანძარის შთის მადლობიდან დაბლა, მიწაზე დაეშვა, დაუახლოვდა გაძლიერებულს ხალხს და მისი ჭირ-გარამი გაიხდა თვისი შემოქმედების საგანად... გიორგი ერისთავი წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში გახდა ქართულ რელიურ ჰოეზიის მამამთავრად... აქედამ იწყება ქართულ ზოგჯერ დასაწყობა მასისათვის... ხალხმა ამის შემდეგ სახატიო ადგილი დაიჭირა მწერლობაში...





„სურამის ციხის“ დამწერი  
**დანიელ გიორგის ძე ჭონქაძე**  
(დაიბ. 1830 წ. 6 მარტს, გარდ. 1860 წ. 16 ივნისს)

გიორგი ერისთავის რეალურ მიმართულების ერთ საუკეთესო მოტიქულად ითვლება დანიელ ჭონქაძე, „სურამის ციხის“ ავტორი. ზირველად ქართულ მწერლობაში ბატონ-უმობას და მის უარ-ყოფითს მხარეებს ურუნდებდა მიაქცია დანიელ ჭონქაძემ, დაბალ წოდების შვილმა, თბილისის სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულმა. ზირველად დასწერა, ქართულ ენაზე სოციალური რომანი, რომელიც დაბეჭდა ივანე კერესელიძის ურუნდის „ციხის“: 1859 წლის დეკემბრის და 1860 წლის იანვრის ნომერებში... მას თვისი სადი ჭკუის და ბეჭით დაკვირვების მეხსებით კარგად ჭქონდა გათვალისწინებული გლეხ-კაცთა აუტანელი ტანჯვა-გაება ბატონ-უმობის მძიმე უღლის ქვეშ. მას, აღზრდილს სოფლად, შესისხლბორცებული ჭქონდა გლეხთა გაება, რომლის სიმძაფრე სიტყვების უწამლადა. მისი ცხოვრების საგნად შეიქმნა დახატულ წოდებისთვის ძნელ და საზიად ტვირთის შემსუბუქება. მოწინავე ქართველ საზოგადოებას არ ჭქონდა გამორეკული 1850 წლამდის გლეხთა განთავისუფლების აზრი, რომელსაც რუსთა განათლებული საზოგადოება 1840 წლებიდან უკვე იტნობდა. 1850 წლიდან დანიელ ჭონქაძე ადგენს წრეს, რომელიც ეტნობება რუსთა მო-

ღვაწეთა ნაწერებს და მათ შორის წერილებს და მოთხრობებს ბატონ-უმობის შესახებ (ტურგენევი, გრიგორავინი და სხ). ეს წრე დიდხანს არ აჩვენებდა, მაგრამ მის ხანმოკლე არსებობის შედეგია „სურამის ციხე“.

დანიელ ჭონქაძე დაიბადა 1830 წ. 6 მარტს. ჩამომავლობით მისი მამა რაჭილამ იყო. ძლიერ ადრე დაბლდა და ბიძების აზრს დაწა. ბიძებმა, რომელნიც მღვდლებად მსახურებდნენ, შესწავლეს დანიელს ქართული წერა-კითხვა. შემდეგ მიაბარეს გორის სას. სასწავლებელში, სადაც რიგინად სწავლობდა, თუმცა სწავლების მეთოდები მეტად მახინჯი იყო. თბილისის სასულ. სემინარიის კურსი დამთავრა 1858 წ. კურსის დამთავრების შემდეგ იგი ჯერ მასწავლებლად იყო და შემდეგ ინსპექტორად თბილისის სასწავლებელში. 1852 წ. შეირთო ცოლი, რომელიც მალე გარდაცვალდა... აკებულობით სუსტს დანიელს დღე მოუსწრაფა საუკრულ ცოლის კარდაცვალებამ. ცოლის სიკვდილის შემდეგ დიდხანს ადარ უტყულობდა და გარდაიცვალა 1860 წლის 16 ივნისს. დასაფლავეს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში, ცოლის სამარის გვერდით. მათ სამარეებს შემოვლებული აქვს აწ უკვე დაძველებული რიგინის მოაჯირი და ადევთ ღოდები შესაფერი წარწერით...

ქართველ მწერლობის ისტორიაში მან უკვანძო თვისი სახელი „სურამის ციხითა“, — რომელიც შედეგია მისი ზოტური ღრმა დაკვირვებისა და მხატვრული განჭვრეტისა... იგი გაუღენთილია იმ გულითადი სიყვარულით, რომელიც დანიელს ჭქონდა გლეხთა მიმართ... იგი ზაფხულით, რაცა კი სოფელში მოხდებოდა, გლეხებს წერა-კითხვას ასწავლიდა და სხვა და სხვა სასარგებლო წიგნს უკითხავდა... მისი გული გრძობდა, რომ მომავალი ეკუთვნოდა მშრომელ ხალხს, მყობადი—შრომისა იქნებოდა. „სურამის ციხის“ შინაარსი აგტომბა, რომ თანამედროვენი არ გაუჭვრებინა, საშუალო საუკუნეების ცხოვრებას დაუკავშირა.

ამ მოთხრობის ორი უმთავრესი გმირი დურმიშხანი და ოსმან-ალა ორივე გლეხის შვილია, ორივე იტანჯებოდა ბატონ-უმობის მძიმე უღლის ქვეშ... დურმიშხანი იმერეთიდანაა, უკა-



ნონო შეიღია თავად წერეთლისა... ოსმან-ადა ქართლელია, წინად ნოღარი ერქვა. მოჰქალა თვისი ბატონი, რომელმაც მის სავყარელ მოსამისხურე ქალს ნატოზე ძალა იხმარა, და გაიქცა სათათროთში. აქ ხელი მიჰყო ვაჭრობას. შიილო მანქმადის სჯული. ღურმიშხანი უყვარდა მუხრან-ბატონის მოსამისხურე ქალს გულისვარდს, მაგრამ გამდიდრების შემდეგ მას ღურმიშხანმა უღაღა და ოსმან-ადას ნათლელი სურამელი მდიდარი გლეხის ასული შეერთო. გულისვარდმა გადასწვიტა ღურმიშხანისათვის სამაგიერო გადაესადა. ის დაეთხოვა ქალბატონს და ავლანბრელ მკითხვთან შევიდა მოწაფედ მკითხაობის შესასწავლად. ოსმან-ადა და ღურმიშხანი ამისობაში სტამბოლს გაემგზავრნენ. იქ უარსხეო მანქმადის სჯული და დაუბრუნდა ქრისტიანობას. ოსმან-ადა მანქმადანებმა მოჰქალეს ამის გულისთვის. ამხვე დროს გაითქვა ავლანბრელი მკითხვის ვარდუას (გულისვარდის) სახელი... ცუდი დრო დაუდგა ღურმიშხანის სტამბოლში ყოფნის დროს საქართველოს. მტრები უზირებდნენ შემოსევას... ციხეებს შენება დაუწყეს. დაუწყეს სურამშიც ციხეს შენება. მაგრამ მისი კედელი ინტროდა; ვერას გზით ვერ დაამატეს საძირკველზე... მეფის ვიზიტმა მიმართა ავლანბრელ მკითხვს ვარდუას, რომელმაც უჩინა: ოსმან-ადას ერთა ვაჟს, ღურმიშხანის ზურაბს არ ჩაატანო ცოცხალთ კედელში, მანამ ციხის აშენება შეუძლებელია. მკითხვის რჩევა შეისმინეს და ასრულეს: ზურაბი კედელში ჩაატანეს. მისი დედა გაგიჟდა. დაბრუნდა შინ ღურმიშხანი და შეიტყო ყველაფერი: მისი ბედნიერება განქრდა... მოხუცი ღურმიშხანი წავიდა თბილისს, მოძებნა ვარდუა... შეეტანენ ერთმანეთს და ერთმანეთი შემოავლათ. რამდენისამე საათის შემდეგ ორივე მკვდარი ერთად ჩახუტული ნახეს...

მივაქციოთ ყურადღება მოთხრობის ორ ტიპს: ღურმიშხანისას და ოსმან-ადასას.

ღურმიშხანი აღმერთებს პირად ბედნიერებას და მას მსხვერპლად სწირავს თავის ადამიანობას, თავის სვინიდიის და ხატოცნებას... ეს მისი მტრებს ზიარად ბედნიერების მასში ერთბაშად არ განიხილა... კარგეშემორტეულმა ზიარობებმა და უფრო კი თბილისში ცხოვრებამ შეატანა იმსხვერპლს, რომ გლეხის ბედნი-

ერება არ შეიძლება, უკეთუ ბატონისა იქნებოდა, მამასადამე, შეატანებინეს აზრი ზიარად თავისუფლების შესახებ... მაგრამ მასვე ესმოდა, რომ ზიარად თავისუფლებას თავისუფლება არ შეიძლება ეწოდოს, თუადამანს ცხოვრების საკუთარი სახსარი არ ექნება და სანამ სხვის თავდაუკერძადად არ იცხოვრებს... სიმიდრის შესაძენად კი სპირთა მოხერხება და გაიძვერობა... მისმა ზიარდმა ენერჯიამ ხელი შეუწყო მის სურვილების განხორციელებას. შემთხვევით ოსმან-ადას გაცნობამ და მასთან მოხერხებულმა დამეგობრებამ მის სურვილებს ფრთები შეასხეს... ის გამდიდრდა. მასთან მეგობრობას არ გაურბიან თავდაზნაურობის წარმოადგენელი... ზიარდის ბედნიერების მოტრფილად ღურმიშხანი თითქმის წინააღმდეგი აღარაა ბატონ-უმობისა და თითონაც აღტაცებაში მოვიდოდა, თუ კი აზნაურობას უბოძებდნენ... ის ამზადებდა ნიადაც თავის განსაზნაურებლად: უახლოვდებოდა თავდაზნაურობას, მასთან კავშირს იჭერდა... თავისი ვაჟი ზურაბი თავადს აბაშიძეს მოანათვლიდა.

სარგებლობის ძიებაში ის გამოიყვანა გულქვა და გულ-ცივ ადამიანად... ის სინან შეტად სუსტის ზნეობის მქონედ. დალატობს გულისვარდს, დალატობს თავის მამობილს ოსმან-ადას, როდესაც უკანასკნელს აწვალებდნენ ქრისტიან სჯულზე დაბრუნებისათვის. ღურმიშხანი არავითარს დონისძიებას არ იღებდა იმის საშველათ და შემდეგ სიველიისა იმისი გვამიც კი არ მიაზარა მიწას. საწვალდი ოსმან-ადას გვამი ეგდო რამდენიმე ხანი ქუჩაში, სანამ შეწებულთ იმისი სუნით არ მოიგონეს გადაცემა იმისი ზღვაში. ის ამ დროს იდგა ზღვის ზიარად და ფიქრობდა ვაჭრობისა და მოგების შესახებ. გამდიდრების ეარეშე არავინ და არაფერი არ არსებობს იმისთვის, მაგრამ თავის სურვილს ბოლომდის ვერ განახორციელებს: გლეხის ჩამომავლობა, გლეხობა—მას უშლიდა გამსდარყო აზნაური... იყო მდიდარი, ზიარდათ თავისუფალი, მაგრამ გლეხი... მის გულში დაბუდებულიყო ზიარდი გლეხობისადმი... სდელიობს შვილის საშუალებით დავიწვოს თავის გლეხობა... იცის რომ მისი შვილიც გლეხია... ენატრება შვილისათვის ბეობა, ეპინკაპოლობა, კათოლიკობა... მამინ კი ღურმიშხანი, რეგორც თვითონ ამბობს,



აღარ დაუკრავდა თავს არც ერთ თავადს... მაგრამ დაეკარგა ზურაბი: დაეკარგა უკანასკნელი თავისი იმედი... მკვლად სულეიერად... მისთვის სიცოცხლეს ამის შემდეგ დაასრულა თავისი სიცოცხლე იმ ვარდულს გვერდით, ვისი წყალობითაც დაიშინა მოულოდნელად მისი მადა-გასხნილი, მადალ ფარდებში ფრენის მოტრფივლე თავმოყვარეობა. ის მკითხველის გულში თავისი ტრადიციული სიკვდილით სიბრძნეულის გრძობას არ იწყევს.

დურმიშხანი—წარმომადგენელია იმ გლეხთა, რომელთა შორის გავრცელებული იყო მეტწილად მებრუნეობაში შეგნება თავის ადამიანობისა და პირადის თავისუფლების მოპოებისა... იყვენ ისეთი გლეხები, რომელნიც ფულით და ბატონის მომადლოებრებით ვიდულობდნენ თავისუფლებას, იქნდნენ სიმდიდრეს, მოქალაქეებად ხდებოდნენ, იგიწევდნენ თავის გლეხურს ჩამომავლობას და სისხლს სწოფად სარგებლობის გულისთვის იმ წოდებას, რომლის შეიღწივთ თვითონ იყვენ.

ოსმან-ალას ხასიათი სრული წინააღმდეგობას დურმიშხანის ხასიათისა... ის არაა არც გაძევრს და არც მოხერხებულ... უფრო პირდაპირი ხასიათისა. მოთმინება აქვს გასაკვირელი... ცხოვრებაში გული ვერ გაუტეხს. სიმდიდრის შეძენის სენით ის არაა შეპერობილი. არ ეპოტინება დედაკაცებთან დახლოებას... სიამოვნებით იგონებს მოხერხებულობის უამს თავის სიჭაბუკეს, როდესაც მიწის ხენის დროს ოროველას მღეროდა. ესტრება იმ დროის მობრუნება, როდესაც მისი სვინილისი მიძიმე ცოდვით, ბატონის უდანაშაულო ბავშვის მოკვლით, დაძმობულები არ იყო... ამ დროს დაბრუნების გულისთვის მზათაა მთელი თავისი სიმდიდრე დაჭკარვოს... გარეგნობით უარ ჭკოფს თავის სჯულს,—მაგრამ გულთქრისტიანობა, არ იგიწევს სიმშობლად, უბრუნდება მის მიწა-წყალს,—უბრუნდება ქრისტიანობას და თავის სვინილისთან შერიგებული კვდება უცხო მხარეს... თავისი პირდაპირობით და გულწრფელობით, თავისი ბუნების სიღრმით და ხასიათის სიმტკიცით ოსმან-აღა ქართული გლეხის წარმომადგენელია... მართალია იმან ჩიდიხა სამი მკვლელობა... მაგრამ მის მკვლელობაში გამოიხატა მთელი გლეხ-კაცობის შურის-ძიება და ამის გამო მას გლეხნი თანა-

უგრძობდნენ... ის წარმომადგენელია იმ სოფლის გლეხებისა, რომელნიც შურს იძიებდნენ თავის ბატონებს, მაგრამ მკვლელობის ჩადენა მუდამ სხანურად ჭქვანდათ, როგორც ზნეობრივი მოძღვრების წინააღმდეგი საქციელი... იძულებით ჩადენილი,—და არა წარმომდინარე იმათი ბუნების სიწამინდრისა და სიღუბნისაგან...

დანიელ ჭონქაძემ პირველმა ქართველ მწერალთა შორის დავეხატა, რამდენათაც შეეძლო, ტიპები გლეხთა ცხოვრებიდან... მას სურდა თავის მოთხრობით დაესურათსატეობა თავის დროის საჭირობათ სავანი, რომელსაც მაშინდელი ქართველი მწერლები თვალს არიდებდნენ... ჭონქაძემ რეიანად შეასრულა ეს თავისი სავანი, თუმც მისი ტიპები მკრთადა.

დანიელ ჭონქაძის ნიჭი ჯერ საკმაოდ გაფურჩქნელი არ იყო. ოცდაათი წლის კარდაიცვალა. „სურამის ციხე“ დასწერა 25—26 წლისამ. მისი ნიჭის განვითარებას მაშინდელი საზოგადოებრივი პირობები ხელს არ უწყობდა. იმის მოთხრობას გულცივად და ზიზღით შეხედენ მაშინდელი თავად-ახანურები, რომელთა ხელში იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობის სვე-ბედი. კრიტიკამ თავისი აზრი წარმოთქვა ამ მოთხრობის შესახებ 1863 წ., როდესაც ქველმა ბეჭამ (ანტონ ფურცელაძემ) დასწერა მისი კრიტიკული განხილვა.

ანხილ ჯორჯაძე ამბობს „სურამის ციხის“ შესახებ შემდეგს: „უინც წინ იყურებოდა აღფრთოვანებული დარა მისი წაკითხვით, ვისაც ამის ძალა არ შესწევდა განრისხებული და შეურაცხყოფილი. აქ უფველიყო იყო მოულოდნელი—მარტოვი, ბუნებრივი კილო მოთხრობისა, რომელშიაც იყო ერთგვარი სავა სიმშვენური და ამასთან ისეთი გულწრფელი, ისეთი ძლიერი პროტესტი მონობის წინააღმდეგ, რომლის მსგავსი იმ დრომდე ქართულ ლიტერატურაში არავის გაუგონია. ეს უკვე სხვა ახალი ჭანგი იყო...“

ივანე კერესელიძემ, რდისკრისა რედაქტორმა მხოლოდ ორიადე სიტყვა სთქვა თავის ყურნაღში დანიელ ჭონქაძის სიკვდილის გამო... უშიზდა, რომ ძლიერნი ამა სოფლისანი აღარ გაუჯანრები: მას ამ ძლიერებმა მოთხრობის დაბეჭდვა დიდ დანაშაულობად ჩათვალეს. შესაძლოა მათვე ცუდი დღე დაეუენებიათ დანიელისთვის, რომ სიკვდილს არ მოესწრო მისთვის...

ილ. ფერაძე



## ჩვენი დროის უკავილები

(თანამედროვე სურათები)

„როდესაც დინახვით ბრძენს, მოიგონეთ გაქვთ თუ არა მისი სათნოებანი; როდესაც დინახვით გარყვნილ ადამიანს, მოიგონეთ გაქვთ თუ არა მისი ნაკლულეფანებანი“.  
თალმუდი.

შუაღამე გადასული იქნებოდა. ღრმა ძილში წასულს კარების რახუნთან ერთად ხმა მალა ძახილი შემომესმა.

— ვინ ხართ? შევეკითხე დაფეთებული.

— ელიზბარ, გააღე კარი. მე ვარ, გიგო. აი, ჩვენი ნაამხანაგარი შალიკო დიდებულიძეც მოვიყვანე. — შემომესმა ამხანაგის ხმა. თვალეზის ფშვენტით წამოვდექე, როგორც იყო, ვიპოვე წუმწუშა, ავანთე კართოფილის ნაშვვი სანთელი და კარი გავაღე. ერთ ჩემ ამხანაგთან ერთად მშვენიერ სახის ახალგაზდა ქართველი პრაპორშჩიკი წარმომიდგა.

— Здравствуй, ელიზბარ! შემომძახა შალვამ ხელის ჩამორთმევასთან ერთად.

— ოჰ! შალვა! შალვა! საიდან, კაცო, როგორ?

— აქ ახლო ვქეიფობდი. Тамъ съ однимъ знаешь, ცოტა შელაპარაკება მომიხდა. ეს რომ არა ყოფილიყო იქ, я его бы...

მაგრამ აღარ დაათვა და პაპიროზის წევით სკამზე ჩამოჯდა.

— კაცო, ვიღაც ქალზე ერთ პრაპორშჩიკთან ჩხუბი მოუვიდა. ლევორველი იძრო. იქ რომ არ ვყოფილიყავ, მართლა ცუდად წავიდოდა საქმე. გაქირვეულდა, სახლში ვეღარ წავიყვანე. მერე შენ მომაგონდი და რის ვაი-ვაგლანით დავიყოლიე. ახლა, თუ ხათრი გაქვს, ნუღარაფერს კითხავ, არ ააღელვო. როგორმე დააძინე. მე უნდა წავიდე. წამჩურჩულა გიგომ და თან თავი დაგვანება.

— ელიზბარ, дорогой, მე ცოტა გადაკრულში ვარ, მეძინება. ერთი, გენაცვა, какъ нибудь მოვახერხოთ. ნუ დამემდურები რო გაწუხებ.

ამ სიტყვებით მოიხსნა ხმალი, ლევორველი და მიწვა კიდევ ჩემ ლოგინზე. ხათრი ხათაბალაო. რაღას ვიზამდი. მიველ და ჩექ-

მების ხდა დაუწყე. გავხადე ტანსაცმელიც და მივაძინე. მალე მწარე ფიქრებმა გამიტაცა. ვინ იცის რამდენი ამისთანა ვაჟკაცი ჩემ ტანჯულ სამშობლოსი უბედურდება ასე! ვინ იცის! ამ ფიქრებში რომ ვიყავ, უცებ შალვამ წამოიწია და რაც კი ესვა და ეჭამა — იატაკზე გაშალა. მალე რომ არ მივშველებოდი, თითონაც შიგ ჩაწვებოდა. დავალევიწე წყალი და, როგორც იყო, დავამშვიდე. მალე ჩავძინა კიდევ. მოვასუფთავე იქაურობა და იმ ვაჟბატონზე მწარე ფიქრებით გატაცებულმა ოთახში ხეტიალი დავიწყე. მალე ისიც მომწყინდა, ძილი მომეკიდა. გავიშალე დაბლა ჩემი ძველი პალტო, თავით ტანისამოსის ბოხჩა დავიდე, წავწექი და სტუმრის შინელი წავიხურე.

ის იყო ჩამთვლიმა, რომ იმ ვაჟბატონის ხმა მალა ლაპარაკმა გამომადვიძა. დაუგდე ყური. ძილშიც ლხინი აგონდებოდა. ვიღაც აძალადებდა დალიეო. ცოტა ხან შემდეგ ხმა მალა ღრიალიც დაიწყო: „пустите я ему!“ ღრიალებდა ის ხელების ქნევით... დაფეთებულის აბა რაღა ძილი მომეკიდებოდა: ავდექი, მაგიდასთან ჩამოვჯექე და წიგნებს დაუწყე ფურცვლა. ამ სხვა და სხვა წიგნების უაზრო ფურცვლაში კიდევ გათენდა.

უკვე ათი საათი იქნებოდა, როდესაც ჩემ სტუმარს გამოედვიძა. არეულ თვალებით ჯერ დაშტერებით დამიწყო ყურება და შემდეგ-ღა გამომელაპარაკა:

— ელიზბარ, кто меня привелъ сюда?

— განა არ გახსოვს? გიგო ხ — ძემ მოგიყვანა. ვუპასუხე მე.

კარგა ხანს გაჩუმდა, ეტყობოდა რაღაცას იგონებდა. შემდეგ ისევ მომმართა:

— ელიზბარ, не по службѣ, а по дружбѣ — ერთი მაგ ჩემ შალვარის ჯიბეში ფულია და პაპიროზი афицерекия და сельтерская მომიტანე. ხომ იცი ნაბახურევზედ უხდება.

დავმორჩილდი. სანამ ამოუტანდი, იმას ჩეცო კიდევ და ისე წამოწოლილიყო ლოგინზე. ფანჯრიდან დამინახა რო მოვდიოდი და კარებშივე მომაძახა:



-- მომიტანე? merci bien. აბა ერთი გახსენი.

გაუხსენი. მივართვი. სულ ერთ მოყუდებაზე გამოცალა, და შემდეგ პაპიროზს დაუწყა ბოლება.

-- სხვა, შალვა. თქვენ სოფელში იყავი თუ არა? დაუწყე მე.

-- Какого чорта! სოფელში რა დამრჩენია. ხვალ თუ ზეგ პოზიციაზედ უნდა გამგზავნონ, რა დროს სოფელია.

-- უკანასკნელად აღარ გინდა თვალი გადაავლო შენს ნაცნობ არე-მარეს, შენს სამშობლოს? იქნებ, ღმერთმა კი დაგიფაროს, და აღარ გელირსოს, სამშობლო მხარე თვალით იხილო!

-- Мух, братецъ, ესლა ისეთი დროა რო სამშობლო ფეხებზე მკილია. ან რა სამშობლოა მიყრუებული სოფელი!

-- დედმა, კაცო, დედმა?! შევეკითხე მე აღელვებული.

-- რა დედმა. ეს ერთი თვეც არი რაც მამაჩემმა მიყიდ-მოყიდა, თუ რამე ჰქონდა, და აქ ჩამოზინავდა.

-- ჰო, ეგ სხვა საქმეა, მაგრამ მე მეგონა თუ სწორედ ესლა მართებდა კაცს სამშობლოსა და მამულის სიყვარული. გაუკარ მე სიტყვა. მეგონა თუ იმაზე იმოქმედებდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: იმან ისევ თავისი გამიგძელა, თითქოს არც კი გეეგოს ჩემი სიტყვები.

-- ელიზბარ, увѣряю тебя, კაცს ქეფის მეტი არა შერჩება რა. ეს ორი დღე სახლშიაც არ მივსულვარ. განუწყვეტილვ ვქეფივობდი. მეტი რა უნდა შემრჩეს?.. შენ რო იცოდე, ამ ორ დღეში ოც თუმანზე მეტი მექნება დახარჯული.

კლდე დიდხანს მელაპარაკა. ვამობდი ნეტა ღმერთი გამწყრომოდა, არაფერი მეთქვა მეთქი. მეტად მომაბეზრა თავი: ქალები, ქეფი, სახედრო სამსახური და ომი,—აი, უმთავრესი საგნები მისი ლაპარაკისა. ქალების შესახებ მისმა აზრმა ჩემში წინააღმდეგობა გამოიწვია და ლაპარაკი, ჩემდა უნებურად, გაგვიგრძელდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ს. კეწნიშვილი

# ყვავილები

\* \* \*

რა ვაწყინეთ ნეტავი ჩვენ საწუთროს, რატომ უნდა სევდას დაგვასაკუთროს? რატომ უნდა ტანჯვის ცრემლი გვაკუთნოს,— ეს სოფელი ჩვენს კისერზედ აგუთნოს?! ნეტავ მითი შემოქმედმა იხარა, რომ მიწაზე ზღვა სისხლი დაიღვარა, რომ მინდვრები ლეშით გადაიფარა?— ის სად იყო, რად არვინ დაიფარა?!

მე შეილი ვარ შავი მწუხრის გვიანის, მშვიდად ვისმენ როდესაც ცა იქუხებს, მაგრამ ტანჯვა, ტანჯვა ადამიანის გულს მიკაწრავს, სულს მიხუთავს, მიწუხებს. ვეგებები მსხვერპლთა ჩამოსვენებას, ვეგებები იმათ გახრწნილ გვამებსა, ან რა მისცემს ნეტავ სულს მოსვენებას, როს შევსცქერი ტანჯულ დედებს, მამებსა... მათმა „ვიიმ“ გულში დაისადგურა, მათი ცრემლი მზესაც აკლებს სინათლეს, შავმა ფერმა თეთრი გაანადგურა, ღმერთო ჩემო, როდის, როდის ინათლებს?! შავ ძაძებში გახვეული ქალები ვით აჩრდილნი იგრე იარებიან, მათი ძმანი, სატრფონი და მამანი იმათგან შორს ომში იხოცებიან...

რა ვაწყინეთ ნეტავი ჩვენ საწუთროს, რატომ უნდა სევდას დაგვასაკუთროს, რატომ უნდა ტანჯვის ცრემლი გვაკუთნოს,— ეს სოფელი ჩვენს კისერზედ აგუთნოს?!.

საფო მგელაძე

## გ ა ნ თ ი ა ღ ი

თენდება... კრთება... ღამეს გატეხილს კანკალით ფერი მისდის და კვდება... ცეცხლის სხივები მოაქვს ქარტეხილს, ცეცხლის სხივები ცას ეკიდება...

...და კლდოვანს თხემზე სიყრმე—არწივი თავისუფლების მზეს ეგებება... ცის ნაცრემლს პირზე ქანაობს სხივი... ღამე მწუხარე თვალს ხუჭავს... კვდება...

ილ. მოსაშვილი







მ უ შ ა — მ გ ო ს ა ნ ი

მუშა ვარ! ყველას შევხარი, არავისი ვარ ჯალათი,  
 ტანჯვის შვილს, ჩაგრულთ დარაჯსა მაცვია ლურჯი ხალათი.  
 მაშვრალთ კერამ მშვა, ყარბი, მზარდა ობლობამ ტიალმა,  
 მშრომელი გლეხი მას გაძლევთ, რაც მომცა ხალხში ტრიალმა.  
 რვეულად ვხმარობ ცხოვრებას, კალმად სული მაქვს ნაწრთობი,  
 მელნად მოყვასთა ცრემლები, იმედი ბნელში მნათობი.  
 ქნარი, რომელსაც დავმღერი, ეკლისა არის, ძმობილო,  
 არ დაგიძლავ, ქირიმე, მოაზრევე, მოძმედ ხმობილო.  
 როს ჩავკრავ თითებს დაკოჟრილს, სიმნი მყის აკვნესდებიან,  
 ჟღერიან, სწორად მღერიან, სისხლის წვეთებათ ღნებიან.  
 რა ვქნა თუ ვერ ვსთქვა სიტყვები: მხიბლავი, აღერსიანი?  
 რა გუყოთ, თუ ვერ შეგკონო, ძღვნად ვარდ-სუმბული-იანი?!.  
 ეს გული, ხნული სანერგე, სიცოცხლე-სიხარულისა:  
 ხომ ხალხს შევწირე ზვარაკად, ფსალმუნად სიყვარულისა!  
 დე, ყველამ ერთ-გვარ იცხოვროს ბუნების ტურფა მდელიაზე,  
 ყველა იშვებდეს, ჰხარობდეს მნათობ მზის სამფლობელოზე.  
 მუშა ვარ! შრომის მედროშე, მუშა ლურჯ-ხალათიანი,  
 ვმღერი მუშურად... შემინდეთ, თუ ვერ ვსთქვა ლაზათიანი!

ს. ერთაწმინდელი



† ფრანჩესკო მარკონი

იტალიის სახელგანთქმული ტენორი, მომღერალი მსახიობი, გარდაიცვალა რომში, დაბადებიდან 61 წ. სცენაზე შეველამდე მუშა-ხელოსანი იყო—ღურგალი. სიმდიდრე რო შეიძინა და ბრწყინვალე სახელი მოიხვეჭა, მაშინაც არ იფიწყებდა თავის წარსულს, მუდამ ხალხში ტრიალებდა, ხალხსაც იგი უყვარდა და დიდ პატივსაც სცემდა



† კარმენ სილვა

რუმინეთის ქვრივი დედოფალი ვლისაბედი, მწერლობაში კარმენ სილვას სახელით ცნობილი, გარდ. 18 თებერ. ბუქარესტში.

კ ი დ ე კ ო რ ი ...

ორმა დიდებულმა გულმა, ორმა ხელოვნების ცეცხლით აღზნებულმა გულმა შესწყვიტა ძვერა.

ორმა დიდებულმა ადამიანმა გვიდალატა ამ საერთო უბედურობის დროს და სიკვდილის რვეულს კიდევ ჩაემატა ორი სახელი: მუნე სიუფი და კარმენ სილვა...

ერთი დიდებული მსახიობი—ტრადიკოსი,

მეორე ქალი მწერალი, რუმინეთის გვირგვინოსანი, სრა-პალატებში დაბადებული...

ორივენი იწვებოდნენ ხელოვნების მგზნებარე ცეცხლით... და ერთი თუ ცეცხლის სტრიქონებს აზნედა ცივს ეტრატზე, მეორე ცეცხლის წუთებს ქმნიდა თანამედროვე ცივ სცენაზე..

და ორნივე თითქოს გვანდნენ კიდევ ერთმანეთს:

მუნე სიუფიმ პოლიტიკას დაარქო ქუქყი და კარმენ დედოფალიც სრულეობით არ ურევდა ხელს ამ ქუქყის ტბაში...

და ორივეს ვერცხლის ქალარა აწ დაჰფარა მიწამ შავბნელმა...

მართალია, რუმინეთის დედოფლის კარმენ-სილვას ნაწერებს, გამოსულს 8 ტომად, არ შეუხან-



† მუნე სიუფი

ოილიპოს მეფის რომში, საკუთარი ნახატ-ქანდაკი.



ზარბიათ ქვეყანა, მართალია იგი არ იყო დიდებული ჰენია კაცობრიობისა, მაგრამ ისიც, რაც შეჰქმნა მან, ჰბურავს მას ერთგვარის სხივისან საბურველით ჩემს ფიქრებში...

კარმენ სილვა, მუდამ განზორებით დგას ჩემს ოცნებაში, თეთრი საბურველით. ალბად ეს თეთრი საბურველი შეთხზულია მისი თეთრ და მუდამ ნაზის ფიქრებისაგან...

და დახეთ ამ ნაზს მწერალს, ნაზს არსებას, როგორ მოექცა ბედი სასტიკი!

მას მოუყვდა გვირგვინოსანი მეუღლე 17 თვის წინედ და თვითაც დაბრმავდა ამ ერთი წლის წინედ...

გარს იგივე წყვილია... საშინელი სისხლის ღვრა. 42 სანტიმეტრიან ველურ ზარბაზანთა გრიალი, რომელიც ანადგურებს ყველა იმას, რაც შეჰქმნეს მისმა და ათასმა მის გვარის თეთრმა ფიქრებმა!..

ღმერთო ჩემო! ნუ თუ შემოქმედების სარბიელი დღეს მხოლოდ კრუპს დარჩა?..

ის იღვენთებოდა ცრემლებათ და ამბობდა: „აწ განმიტევე მეუფეო!“ ეს იყო ალბად მისი ჯილდო და შემოქმედმაც ხომ ტრადედის საბურველით შემოჰბურა მისი სხივისანი სახე...

მუნე სიულიც მუდამ იცხოვრებს ჩემს ფიქრებში, კვართით მოსილი ეღიბეს კვერთხით ხელში...

ისიც დიდებული იყო, რადგან იგი იწვებოდა ეღიბეს ცეცხლით და თუ რა ძლიერი იყო იგი, მოვიყვან დოროშევიჩის მიერ დასურათებულს ერთს ებიზოდს...

სცენა...

გარს აბოლებული სამსხვერპლონი...

წყვილია...

ბრბო მუხლებზე დაცემულა კიბის საფეხურებზე ბზის რტოებით ხელში...

დგას იგი მეფურ პოზით, დვთიე-მიმსგავსებული ეღიბე და ისმის ხმა მისი, ვითარცა ხმა საეკლესიო ორღანოსი...

ღმერთო ჩემო რა სკულბტურაა!

რა მშვენიერება... და დგეხართ მოჯადოებულნი, ალბად ხელოვნების ცეცხლი თქვენც ჩაგწვდათ გულში, გწვავთ და იწვევით და გრძობთ გამოუთქმელ ნეტარებას...

და კიდევ მეორე:

„მას ყავდა ორი შვილი, რომელთაც აღმერთებდა... ორივე დაეხოცა ერთ დღეს...“

იგი გამოკეთდა რა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გამოვიდა ეღიბეს როლში.

და როდესაც ეღიბე, ბრმა ეღიბე ეძებს დაკარგულ შვილებს და ამბობს ხელებ-გაწვდილი: „ა, შვილებო სად ხართ? მომასხლოდით, აქ ჩემთან, ჩემს ხელებს შეეხეთ... მუნე სიული აქვითინდა...“

მთელი თეატრი ადგა, როგორც ერთი ადამიანი. დარბაზში მოისმა ქალთა ტირილი.

... და დაიქექა ტაშმა!..

— არა, მარტო, არა ხარ, ჩვენც ვიწვევით მაგ სევდით! ისმოდა ძახილი“...

და აქაც აჩვენა, თუ რა ჯადოსნობა სცოდნია ხელოვნებას...

„მანვე ითამაშა ეღიბე დიონოსის თეატრში ათიკის ცის ქვეშ და შეაშფოთა მეფური კენესით მშვიდი ჰაერი ელოადისა“.

ამბობს დოროშევიჩი.

და მწამს შეშფოთდებოდა ჰაერიც, რადგან იგი უფრო გრძობიარეა, ვიდრე ქვიანი გული იმ ბრბოსი, რომელსაც ცრემლთა ნაკადულები ადინა...

ღიად, დღეს ევროპა მარხავს ორ დიდებულ ადამიანს, მარხავს მათ და მოისმის კენესასთან ერთად სულთათანა და სამგლოვიარო მარში ზარბაზნებისა...

მათ ხომ არ უყვარდათ სისხლი ადამიანისა და რად ჩაასვენა მაშ ბედმა სისხლით მორწყულ სამარეში?..

მათ ხომ უყვარდათ მშვიდი მუსიკა ხელოვნებისა, მაშ ზარბაზანთა ველური მუსიკა რად აცილებს მათ ძვირფასს კუბოთ?!

გოგლა ლეონი



დედოფ. ელისაბედი უკანასკნელი სურათი



# ბ რ ი კ რ ტ ი

პიესა სამ მოქ. და ოთხ სურათად  
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 9)

## მ ო შ მ ე დ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

(გიორგი დიპაძის სხს.ლი. პირველი მოქმედების მართულობა, ფარდას ხდისას კესა ოთხის მოწუბობილობას ასუფთავებს)

### I

კესა მარტო.

კესა. ძალიან დეიგვიანეს ჩემმა ბატონმა და ქალობატონმა. დედა, რა დღეს მოესწრება ადამიანი! აგერ რამდენი ხანია სხვისას დეიარებიან სადილათ. კაცს ფული ჰქონდეს და საკმელი ვერ იშოვოს, აგი არ გამოიგონია. ნეტა რეიზა იჭირებენ საქმეს, რა ძალი აღგიათ! რისთვის აძულებენ ხალხს თავს. ქვეყანა რომ გადგემტრება ადამიანს და გახელეზულ ძალივით დაგიწყებენ ყურებას, მერე არც ქე ღირს ცხოვრება: რა უჭირთ ახლა, რომ ოარი გროში მოუმატონ მუშებს, მითომ რა დააკლდებთ ამითი. ივენსაც შეიმაღლიერებენ და თითონაც მოსვენებული და პატივცემულნი იქნებიან. ოო, რა საძაგლები არიან ეს მდიღრები: სულ თითონ უნდათ ყველაფერი და სხვია თუნდა შეწყერსაც წაუღია. ახია მაგენზე ყველაფერი რასაც უშობიან. დალოცოს ღმერთმა ისტეგლე ღარიბი ხალხი. არც არევიან ბოიკოტს უცხადებს და არც გაფიცვას. ერთობას და ძობას არაფერი ჯობია. აი, ჩემი პავლია ერთობაში რომ არის გარეული, იმიტომ მიყვარს და თავსაც ვანაცვალე. დედა, რა ტუჩები აქვს, რა უღვაშები ჩემს პავლიას, იმას დავენაცვლე. იმან რომ იცოდეს, რომ მე ასტე ძალიან მიყვარს, ნამდვილათ გადიღრევა, მარა არ ვაგებინებ და ისე ვწვავ და ვბრუკავ. წავალ ახლა, ქალობატონი მაინც სახლში არაა, მევიტან გიტარას, დავამღერებ და პავლიაც გიტარის ხმაზე აქ გაჩნდება. სულ ცეცხლი უნდა წაუკიდო, ისეთი ცეცხლი, რომა ტანისამოსიანა დეიწვას. (საჩქაროდ გამოიტანს გიტარას, ჩაჯდება კრესლოში, უკრავს გიტარაზე და დასმღერებს)

მომეკიდა გულზე ცეცხლი,

სიყვარულმა გადამძლია, —  
თვალწინ მიდგა არ მშორდება,  
სატრფო ჩემი მხნე პავლია.  
შემოველოს იმას კესა,  
ტუჩები აქვს ალისფერი,  
უღვაშები — გადაპწკნილი,  
სახე ერთობ მშვენიერი.  
მე არ მინდა მის სიმდიღრე:  
ჯიბე, სქელი, ღიპზე ქონი, —  
დაენაცვლოს, სადაც იყოს,  
ბატონი და ქალობატონი.

### II

იგივე და პავლია.

(სიმღერის დაწყებისთანავე პავლია შემოდის და რა გაიგონებს კესას მიერ მისდამი მიძღვნილ ლექსს, გრძნობას დასჭარბებს და კარებში გაშუადება. კარები რომ გაიღება, კესა პავლიას შეუმჩნეულად მოახედავს და რა დაინახავს პავლიას, სიმღერას განაგრძობს და უფრო გრძნობიერად მღერის. პავლია სიყვარულით და ეშხით მთვრალი სდგას ერთ ადგილას გაქვავებული. უნდა რამე სთქვას, მაგრამ ვერ მოუხერხება. კესას უფველ სიტუვასე პავლიას გული უთრთის და ხგენჴის)

**პავლია** (რა გაათავებს კესა სიმღერას, შეჭკივღებს) კესა! (სრულიად მოშლილი დაეშვება სკამზე)

**კესა** (მაფარდება და თავზე ხელს უსვამს) პავლია, ბოშო, რა დაგემართა?

**პავ.** (თავს გადაჭკივღებს) ოჰ, მოგვეკვი, კესა, მოგვეკვი.

**კესა.** იმე, რა დაგემართა, ბოშო, არ იტყვი!

**პავ.** აღარ შემიძლიან, კესა, ვავთავდი კაცი.

**კესა.** რა იყო, ბოშო, რა მოგივიდა, აღარ იტყვი ბეჩა!

**პავ.** (ხელა წამოდგება) კესა, შენ დაგენაცვლე მაგ ენის კლიტეში. (ხელს მოჭხკევს საკონცხლად, მაგრამ კესა გაუსხლტება)

**კესა.** აა, კოცნა არ შეიძლება, ბოიკოტია კოცნის, ხომ იცი?

**პავ.** კესა, შენ დაგენაცვლე ყრონტში, ერთი მაკოცნიე, თვარა მევიშალე კაცი.

**კესა.** ჰოო, მივხვდი შენ ეშმაკობას! მა-



გისტვის მიეკვდარუნე თავი, რომ კესას შევებრალე და მაკოცნიებსო! ვერ მოგართვი პატრიჟანი!

**პავ.** კესა, თუ გიყვარდე, მაკოცნიე, თვა-რა ამევიდა სული აღარაა! (შიაწევს კესასკენ)

**კესა.** (გაქცევს) ახლა ჯინაზე არ გაკოცნიებ. შტუკას რომ მიკეთებდი, ვერ მივხედებოდი გგონია!

**პავ.** შტუკა კი არა, ბოშო, ძარღვებში მევიშალე კაცი შენ სიმღერაზე, რაის შტუკაო, რას ლაპარაკობ! კესა, ერთი შენს თვლებს დავენ ცვლე.

**კესა.** ნუ გისწრებს სული, ქე მეესწრები ყველაფერს, ჯვარს დევიწერთ და...

**პავ.** რაიო? ჯვარს დევიწერთ და მერე შენ შეგეხვეწები თუ! ჯვარს რომ დევიწერთ, მაშინ ქე იქნება პრაველაზე ყოლისფერი, კოცნაცა და ხვევნაც. (ხეღს წაატანს)

**კესა.** გელაპარაკები არ შეიძლება, ბოიკოტია თქვა.

**პავ.** ხომ არ გადარეულხარ, ბოშო! ღიპაძის ბოიკოტია, თვარა კოცნის კი არა! (გადახეხვს. კესა ნახვად გადუწევს კისერს და მავლია ჭკოცნის.)

**კესა.** კაი, კაი, გეყოფა, ზოგი მერე. (გაუსხლტება)

**პავ.** ქე არ მევიწათლე კაცი! ასე გექნა აქამდის შე კაი აღამიანო, რეიზა ამომხადე სული, რეიზა დამადნე ქონის სანთელივით.

**კესა.** პავლია, ახლა არ მეტყვი, რავა ჩვენი ხაზენის ბოიკოტის საქმე.

**პავ.** რავა, კესა ჩემო და ისტეა ჩვენი ხაზენი გამოქირული, რავარც თავვი ხაფანგში. მაგას ვითამ ქვეყანა მისი ეგონა, მარა ვერ მიართვეს. სულთანი გადმოგდენ, შაჰი კისრით გადმოაკოტრიალეს და მაგას ქვეყანას ვინ მისცემს! იცოცხლე ახლა ის მოკუნტულია წელკავიანივით!

**კესა.** ნეტა ვიცოდე, პავლია, ვინ გაიმარჯვებს?

**პავ.** ვინ გეიმარჯვებს და მუშები. დიპაძეს ღმერთმა ნუ გაამარჯვებოდა, თვარა ხომ გადაგვყლაპა თოხლო კვერცხივით.

**კესა.** ნეტა ვასილ ივანიჩი რას იზამს?

**პავ.** ვინ ვასილ ივანიჩია?

**კესა.** ვეზდის ნაჩალიკი, ბოშო, აქანე რომ იყო!

**პავ.** რა უნდა ქნას! აქანე პოლიცას კი არ ეჩხუბებოდა, ხაზენთან აქვთ საქმე. ვასილ ივანიჩს რა საქმე აქვს!

**კესა.** ილია ლუკიჩი?

**პავ.** ეშმაკმა იცის მისი სული. რას მალაპარაკებ, ბოშო! ბულბული აქანე მყავხარ და ყვავებზე მალაპარაკებ! ფუ, დასწყევლოს ღმერთმა მათი სახელი.

**კესა.** მაინც რას ამბობს ილია ლუკიჩი, ნაწყენია?

**პავ.** ამბობს თვარა, ეილებს პორტრეტურს. რა ვიცი რას ამბობს. დადის პოლიციის ძალივით და აქიციანებს კულს. იგი უფრო ქვეიანი ეშმაკია. მიხვდა, რომ საქმე გლახათ მივაო და ხაზენის ურჩევს დააკმაყოფილე მუშებიო. (შემოდის ბესარიონი)

(შემდეგი იქნება)

გოგია

## რ ა ი ნ დ ი

გუძ-ნი დ. ვერას.

კისერზე ხელებ შემოქდომილმა ვანომ ხანგრძლივ ამთქანარა, შემდეგ უღვაშები გადაიწვევრტა, აფორიაქებული თმა მელოტ თავზე მიმოალაგა, თითები დაიმტვრია, სარკვეში თავი მოიწონა, მარცხენა ფეხის ქუსლზე შედგა, შეტრიალდა და საქანაო სავარძლისაკენ გაეშურა. ჩაჯდა მედიდურად, მეფური იერით, თითქო მის ფერხთ ურიცხვი მონანი მუხლმოყრილნი დამხობილიყვნენ, მაგრად მოსწია თამბაქო, ორ თითში მსუბუქად გამოქერილი, და მოწეულ ბოლს გაბმულ რგოლებათ უწყო გამოშვება... ნებივრობდა ოცდა ხუთმეტის წლის ყმაწვილი, ვიდრე ტბილ მოგონებათა ანკარა წყარო სჩქედდა, ვიდრე საზაფხულო ფიქრები შეეცვლებოდა. და, აჰა, ესეც მალე მოხდა.

— წყეული წუთი! — იყო აღმოხდომა ვანოსი, დასაწყისი მწარე მოგონებისა.

— რა ბედნიერად ვგრძნობდი თავს, ხეინის ჩათხრობილ სიღრმეში, როგორ ვნეტობდები, ოდეს დარიკომ თავი მომაცრდნო,



ქარვის თმა გადმოშიშალა, ჯადო ბაგენი მო-  
მიახლოვა. ღამის წყვილადში მეგობრის ქორ-  
წინებიდან აშლილნი დაწაფებით სიყვარულის  
ნექტარს ვსვამდით; გუშავ მთვარეს ფიცს ვა-  
ძლევდით, ფიცს კუბოს ფიცრამდე შეურყე-  
ველ სიყვარულისას. რა რიგ ვხარობდით, რა  
რიგ ვკოცნიდით მის თეთრს ფრჩხილებს, რა  
რიგ მიყვარდა... კვლავად აღევნებულს,  
პირველ სატრფოს დარიკოსას, სატრფოს იუ-  
დას, ვერ ხედავდნენ თვალნი ჩემნი, ის კი  
უკან მომდევნა თავს დასასხმელად წუთს ზეი-  
მისას, წუთს ზეკვიციურ ნეტარებისას. ბაღ-  
ში ვისხედით, ნაძვის ქვეშ, ფერმიხდილნი  
მესაიდუმლენი; ბაღში ვისხედით, ბაგეთა ბე-  
რა კეკლუტ ბუნების სინახესაც იმ წუთს არ-  
ცხვენდა, ოდეს შმაგი, ხელი ბოროტი ჩვენს  
წინ უეცრად აღიმართა უკუნ სამოსში. სა-  
ტრფო იყო, სატრფო საყვარლის, როგორც  
მაცნობა, განდევნილი ცბიერ გრძობისთვის.  
ეხლაც მახსოვს ვერავ სახეზე შეშლილნი  
თვალნი დასთამაშობდნენ. ბაგე უთრთოდა  
თავზედ სტუმარს, სატრფოს მღუმარეს. დუ-  
მილით სურდა გაძიება მოპირდაპირის... მო-  
თმინებამ მალე უმუხთოლა, გაპირქუშდა, წარ-  
ბი შეეკრა და ესე იყო ბრძანება მისი: ადექ  
და, თუ სიტკბო სხვისი ბედის წუთის თვლაშია,  
დეე შენც დასტკბი, შენი რიგია, მიდარაჯე  
შორი-ახლოდან.

წამოვიჭერი, სიამაყემ, რაინდის გრძობ-  
ბამ ცეცხლი წამიკიდა და ხმალი ვიძრე... შერ-  
ცხენილი ისევ ჩავაგე... სოროებში მიმა-  
ლულ თვალთა წინ ეშმაკის მანქანა ელვარებ-  
და, უკუნს ფანტავდა... დარიკო ხმას არ  
იღებდა, სულგაკმედილი სასტიკ განკითხვის  
წუთს ელოდა. ცა ინქშეოდა ქალწული სა-  
ხე იბლალებოდა... მე განდევნილი მათ ვდა-  
რაჯობდი. ჩემს ყურს ესმოდა ნაძალადევი  
ტკილი ბგერა შეწყებებულ მხურვალე ბაგეთა.  
ჰკენესდა ასული სხვის მკერდს ჩაკონებული  
და ისმოდა სულმიხდილი დაროს სიტყვები:  
„კმარა!.. კმარა. . . ოჰ... ვანო!“ თვალთ და-  
მიბნეულა ვედრების ხმაზე, თავში რეტი ამი-  
ვარდა, ისევ მივიჭერ აღშფოთებული—ისევ  
გავშემდი, გახევებული მარჯვენა ხელი, ვითა  
მოქრილი, ჩამომეკიდა.

ამხედრებული, ჩახმან შეზიდულ იარაღ-  
მა, ისევ დარაჯად გადამაყენა. ბორგავდა სუ-  
ლი ვიწრო საკანში გამომწყვდეული, გული  
სტიროდა უილაჯობით... გაიფურჩნა ყვავილი,  
წამოიშალა და ზარდაცემულს ღიმილით მითხ-  
რა: „გასწი, გასწი, დიაცო, მანდილიანო და—  
პატივი რაინდს—სული გაჩუქა, ხევენა-კოცნა  
გაპატიო, დარო მე მიმყავს, უხვი რაინდი  
ფიანდაზად გავეშლებია“. გული მოიგო ნორ-  
ჩი ყვავილის და გაიტაცა. ელვის ეტლში, ბა-  
ღის ბოლოში ჩასხდნენ, გაფრინდნენ შეთქ-  
მულ ამალით აღტაცებულნი....

— შენ?!. რა დაასრულა თავს შეეკითხა.  
— ვიდექ დიაცი, გადამტვრეულ ხმაღს  
შევსტკეროდი!—ხმის ამაღლებით უკანასკნე-  
ლი სიტყვა მოსკრა ბოღმისაგან სისხლ-არე-  
ულმა და გაქანებულ სავარძლიდან იატაკზე  
სიგრძე-განით გაღიშოტა.

**გ. დათია შვილი**

**კინემატოგრაფი და თეატრი**

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 9)

მეტად უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომ კი-  
ნემატოგრაფს შეეძლოს თეატრის ადგილი დაი-  
ჭიროს. ზოგთა აზრით კი ანა თუ დაჭერს,—  
მასზე მადლა დადგება და უმადლეს განვითარე-  
ბამდისაც მადლწევს. თუ მართლა ეს წინასწარმე-  
ტვევლება აღსრულდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ,  
რომ თანამედროვე ტვილიზაცია, წინ კი არ მი-  
დის, უკან ისევს. სხანს ადამიანს ისე ესმოება  
ესთეტური გემოვნება თანდათან, რომ წმინდა  
ხელოვნებას ზირს უქტევს და სხვა და სხვა გა-  
სართობებით ისახრდოებს სულს. რამდენადც  
ბაჟაგანური იქნება ეს გასართობი—იმდენად მო-  
საწონი.

შეიძლება, თანამედროვე თეატრი თავის რაღს  
ვერ ასრულებს დირსეულად, არ არის იგი თანამე-  
დროვე ცხოვრების მკაფიო გამომსახველი, შეიძლე-  
ბა, ჩამოიწინა თავის ხანას, თავისი იმპულსი შეაჩერა,  
ვერ აუღო ადღო ახლანდელ მყურებელს, მაგრამ ეს  
იმის მომსახურებელი არ არის, რომ თეატრი დამ-  
ხობას დაამბდეს. ანა, ახლანდელი თეატრი  
ინკანხაციის ხანას განიღდის, იგი ძიების ცხას  
ადგია. თანამედროვე თეატრი ჯერ ემზადება და



თავის მიზანს, მისწრაფებასა და დანიშნულებას ჭნუსხავს, რათა სრული დამაკმაყოფილებელი გახდეს თანამედროვე მსურველებისა, რომ იგი მარტო მსურველი კი არა, — მსმენელიც შეიქმნეს, და შემდეგ ისე იცვალეს თავისი ელფერი, ახალი ხანა შექმნას.

როგორ უნდა მოხდეს ეს გადაგვარება, რა ფორმლებში უნდა ჩამოყალიბდეს. მომავალი ახალი თეატრი, თეატრი — სკოლა, თეატრი — ტაძარი, — ამასედაც ცალკე ფართოდ ვილანაჩათ შემდეგ, ახლა კი დაუბრუნდეთ ისევ კინემატოგრაფს.

კინემატოგრაფის პატრიისმცემელნი ამბობენ: კინემატოგრაფში, სხვათა შორის, ბუნების სრული ბუნებრივობაა დაცულია. ესეც ტყუილია! ჩვენ ჯერ არ გვინახავს ცა, რომ ცას გვანებოდეს, ჩვენ წინ მუდამ ერთი და იგივე თეთრი ტილოა. სედავთ ზღვის ღელვას, მშვენიერ ბაღს, მთებს, მაგრამ ასევე ის თეთრი ტილო კი სულ აქარწყლებს თქვენს ილიუზიას. სჭვრეტთ ოთახს, მაგრამ ოთახის მოწყობილობას კი სრულიად მთლად ვერა ხედავთ. რით ვერ გაადიდეს ეკრანი რომ ეს ილიუზია მანერ მთლიანი ეოფილიეო! აგრეთვე უბუნებრივობა ხეხილები, უგავილეობი, თვით მთები, რადგან სულ ერთნაირი, რადაც მოშავო ფერისაა, არა აქვთ შერჩენილი თანვანთი მრავალფეროვნება. შეიძლება დაგვისხელონ ძმანი პატრეს ფირმა! მაგრამ მათი აჭრელებული სურათი, უბრალო დასატულ სურათების შთაბეჭდილებას სტოვებს და არა სინამდვილისა. კინემატოგრაფს კიდევ ერთი დიდი ნაკლი აქვს. ეს არის სურათების ბუნდოვანობა, რაც ხანდახან პირდაპირ მსურველებს მომქმედნი პირნი ახრდილებად ეჩვენება. ნამეტნავად თუ მომქმედი პირი თეთრ ტანისამოსშია გამწყობილი და სურათს მკრთადად აჩვენებენ, ისეა შეერთებული ეკრანის თეთრი ტილო და მომქმედი პირის თეთრი ტანისამოსი რომ გერაფერს გაარჩევთ. ამის შემდეგ განა შესაძლოა კინემატოგრაფის ბუნებრივობის შესახებ დახარკი! კინემატოგრაფს იქამდის ვერ მიუხეცვია, რომ ეს ბუნდოვანება თავიდან აიშორდეს და ნათელი და მარტივი სურათი აჩვენოს.

კინემატოგრაფს აქვს მხოლოდ ერთად ერთი დიკსება. ეს დიკსება — მისი ფორტოგრაფული სა-

ხასობაა, ის სანახაობა, რის წვალბობითაც თქვენ შეგიძლიანთ ნახოთ მთლად პირიენის მთები კარპატი, მშვენიერი მონბლანი, ნიუიორკი, ღონღონი, კალკუტა, ქაირი და სხვა. კინემატოგრაფი უნდა შეიქმნეს და საჭიროც არის, ლექციის თანამოზიარედ, გარდაიქცეს და ნათლად გადაუშალოს ლექციის შინაარსის სურათები. აი ამ გზით დამისახურებს სახელს და სარგებლობასაც მოიტანს. მხოლოდ იმ სახით მისახურება, როგორც ამ ვამად ვსედავთ და ცდილობს მიაწოდოს ადამიანს სულიერი საზრდო, აჩვენოს ცხოვრება, — ამაში უძლეუია და უძლეურადც დარჩება. მას ადრე თუ გვიან ბოლო მოელება. შეიძლება დიდმა ხანამ განვლოს, მაგრამ მას ეს ბოლო არ ასცდება და თუ ამ ჟამად ხალხს მოსწონს კინემატოგრაფი, ვიმეორებ, ეს გარუნელი გემოვნებაა, ეს უნდა დროებით გატაცებად ჩავთვალოთ და როდესაც ფართო მასსა გულტურის უმადლეს წერტილამდე მიაღწევს, როდესაც ეს დასშული გემოვნება განვითარდება და აზროვნება უფრო განათლდება, შეიგნებს ნამდვილ ხელოვნებას, მაშინ უმად პირს იბრუნებს წმინდა ხელოვნებისაკენ, ხარბად დაეწაფება თეატრს, სასტენო ხელოვნებას და მხოლოდ აქ ხახავს თავის მიზანს, მისწრაფებას, აქ ამოიკითხავს თავის გულის პასუხს, თავის სეგდა-სინარულს მხოლოდ მეღმბმენის ტაძარში გაიზიარებს. თეატრს თავისი მლოცველი ქუავდა, ქუავს და მუდამ ეოვლება კიდევ. თეატრი — ეს ერთი უდიდესთაკანი ხელოვნების წარმომადგენელია. იგი უნდა გაფართოვდეს და გამრავლოს მლოცველნი. ეს ჩვენი უდრუისი მრწამსია!

ვ. გარნიკი

## ს ი ტ უ ვ ა

ნოზრევან მერკვილიაძისა შიო მღვიმელი-სალმი ნათქვამი 14 თებერ.

(თბილისის სახელონო სამმართველოდან)

ძვირფასო შიო!

ვინც კი შენ დაახლოვებით გიკნობს, დამეთანხმება, რომ მთელი შენი ცხოვრება გაწამებული და შხამიანი იყო.

არავისათვის დაფარული ამბავი არ არის, რომ შენ დაიბადე და აღიზარდე სილატაკეში,



მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი და სასარგებლო ნაყოფი მოუტანე ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას..

შენ რო გიყურებ და ვითვალისწინებ შენგან განვლილ ტანჯულ ცხოვრებას, თვალწინ მგხატვის ხრიოკი და ქვიშიანი ადგილი, საიდანაც პატრონს არავითარი მოსავლის იმედი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ დახეთ განგებას და თვით ადგილის სინოყურესაცა: იმ ადგილზე, საიდანაც არავითარი მოსავლის იმედი არ იყო, რა შშენნიერი ჯეჯილი აბიზინდა და რა კარგი ნაყოფი მოსცა პატრონს... ქეშმარიტად ღირსი ხარ პატივის ცემისა იმ დიდი ნაყოფის მოტანისათვის, რომელიც შენ მოუტანე ჩვენს შვილებს და აი, მადლიერი ერის მადლობის ნიშანია ეს საესე დარბაზი და შენს გარშემო შემოხვეული უმანკო სიყვარულით აღვსილი ბაღობა!..

ძვირფასო შიო! თბილისის ხელოსანთა ოჯახებმა, რომელთაც კი ქართული წერა-კითხვა შეუსწავლიათ განურჩევლად ეროვნებისა, დამავალეს გადმოგცე მათი უღრმესი სიყვარული და პატივის ცემა, იმ დიდი და ძვირფასი ნაყოფისათვის, რომელიც შენ მოუტანე მათს შვილებს!..



**ბაქოს დრამ. წრემ** კვირას 21/II დასის რეჟისორის ნიკიერ მსახიობის ი. ზარდალიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინა ნ. შიუკაშვილის პიესა „სიმხინჯე“. მობენეფისემ მოხდენით და ზედმიწევნით შეასრულა საბა დოლაბერიძის როლი. ქ-ნ შოთაძემ უნაკლულად შეასრულა სონას როლი, საუცხოვო იყო ქ ნიწუღუკიძისა (დარეჯანი), მოსაწონი—ბ. ტუმბურიძე (გინაზიელი) და ქ-ნი ქილარჯიშვილი (მარო). ქ-ნი ლიხივისპირელი (დედა) ალაგ-ალაგ მოიკოჭლებდა. დანარჩენ მოთამაშეთაგან აღსანიშნავია ბ. გ. პავლიაშვილი (თომა), ბ მატარაძე (ილიკო) და ბ. გომართელი (ვასო). უკანასკნელს, ვითარცა მოსიყვარულე როლის აღმსრულებელს, მეტი გრძნობიერობა მოეთხოვებოდა. დანარჩენი მოთამაშენი საერთო თამაშს ხელს უწყობ-

დენ. საზოგადოებამ დაუსრულებელი ტაშით დააჯილდოვა მობენეფისე და საჩუქრებიც მიართვა. სან-ქან

**ძ. ბათუმში** აგერ ერთი ხანია, რაც დაარსდა სცენის მოყვარეთა წრე, რაიცა ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩათვალოს აქაურ ქართველთა გონებრივ ცხოვრებაში. ამ წრეში შედიან ენერგიით სავსე ყმაწვილ კაცები, რომელთა საქმეს ერთსულოვანი მუშაობა ეტყობა... მ. თ დიწყეს სისტემატიურად წარმოდგენების მართვა. ჯერ ადვილი პიესები: კომედიები, მელოდრამები და სხვ., ახლა კი ისტორიულ დრამებზე გადავიდნენ.. კვირას, 14-ს თებ. გ. იშხნელის მონაწილეობით წარმოადგინეს აკაკის ნ მ. დრ. „პატარა კახი“, რამაც თითქმის უნაკლულად ჩაიარა და თეატრიც გატენილი იყო ხალხით... მაგრამ რა ახლა, —მიუხედავად ომიანობის დროის წესისა,—ყოველთვის სავსეა ხოლმე თეატრი!.. აღსანიშნავია, რომ მომეტებულად მდაბიო ხალხი ესწრობა, რაც დიდათ სასიამოვნოა... როლების განაწილება ასეთი იყო: მეფე თეიმურაზს—ხურციძე, ცნობილი კომიკი-მსახიობი ასრულებდა და შესაფერადაც შეასრულა... დედოფალი თამარ—ავალოვისა, რომელსაც არა ერთხელ (და ამჯერათაც) დაუმშვენებია სცენის მოყვარეთა მხარი... პატარა კახი—ჯაყელი და გივი—მგელაძე, რომ მეტად არ აბრტყელებდენ სიტყვებს და არა ბუნებრივით ხდიდნენ თავიანთ ხმებს, კარგს იზამენ შემდეგისათვის. იშხნელმა (მოხუცებული გელა) კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. აგრეთვე ითქმის ბაადურ კუტზე. ბ. ნიკოლი და ლევან ქვაბულიძე—ბ. ნაცვოდარელზე. დანარჩენები თავთავიანთ ადგილზედ იყვნენ, თუმცა ზოგს დიქცია (ვდატკორია) არ უვარგოდა და ზოგნი კი (რასა ჭეჭანიძე) არა ცდილან როლების უნაკლულად შესწავლაზე,—მეტადრე ლექსი, როცა ერთი ასოც არის აკლდება, არა სასიამოვნოდ რმის...

ტრ. ი—ძე

**ღ. ლანჩხუთში** თითქმის ნახევარი წელი იქნება, წარმოდგენების მართვა მიყუჩდა, ხალხი მოსწყდა ხელოვნების ტაძრს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთი საღამოს გამართვას. ხალხს სწყურია სულიერი საზრდო და მიმწოდებელი კი არავინა სჩანდა. ამ საქმის მოსაწესრიგებლად 28 თებერ. თეატრის შენობაში მოხდა დრამ. საზ-ის წევრთა კრება, რომელსაც უმეტესად ინტელიგენტი ქალები დაესწრენ. შეადგინეს სცენის მოყვარეთა წრე და აარჩიეს მათი ხელმძღვანელი. დაადგინეს: 1) გამგეობა მ წრის წარმომადგენელთან ერთად შიომუშაოს რეპერტუარი; 2) ყველა ის სცენის მოყვარე, რომელიც ფხიზლად არ გამოცხადდება თავის მოვალეობის შესრულების დროს, გარიცხულ იქნეს, როგორც წრიდან ისე საზ-დან; 3) ვინც სათუატრო საქმეების წინააღმდეგ დაიწყებს რასმეს, გააკისხულ იქნეს პრესის საშუალებით და დრ-ულ საზოგადოებიდან განიდევნოს. დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ.

დამსწრე



**ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დრამატული წრე.** ვინ არ იცის, რა ზიარებებს იმყოფება ჩვენი მოსწავლე საშუალო სკოლაში? მოსკელ-მოსწავლებელსა და მოწიფის შორის ურთიერთობა მხოლოდ გარეგნულ ფორმასზეა დაურდობადი და უხელმძღვანელო მოწიფეს არ შეუძლია მიქცეოს შესაფერი ყურადღება სელოვნებას და იზრუნოს თავის ესთეტიურ განვითარებაზე, რაც აუცილებელია ყოველ ინტელიგენტისათვის. ეს კარგად შეიგნო დღევანდელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ და კიდევაც სტდილობს შეაფასოს ის დანაკლისი, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, აქამდის შეუმჩნეველი რჩებოდა. ქუთაისის ქართულმა და კლასიკურმა გიმნაზიებმა დააარსეს თავთავიანთი დრამატული წრეები.

სათავდაზნაურად გიმნაზიაში, სადაც უფრო მეტი თანხმობაა ვიდრე კლასიკურში ეს ასევე უნდა მომხდარიყო, და გასაკვირიც არ არის. მაგრამ კლასიკურ გიმნაზიისათვის ეს დიდი ნაბიჯის წინსვლისა და მოითხოვს დიდს ყურადღებას საზოგადოებისაგან.

დრამატულ წრეს აქ ხელმძღვანელად უდგას ბ-ნი ი. მ. გიგინეიშვილი, რომელმაც ესრეტიულად მოჭიდა ხელი ამ ფრიად საყურადღებო საქმეს და კიდევაც შესაფერად მოაწყო. წრეში 28 მოწიფეა. თითოეული მათგანი იხდის ყოველ კვირაში საწერად გადასახადს 5 კაპ. წრეს თავისი წესდება აქვს და ხმის უმრავლესობით ამორჩეული გამოცემაზე ეყრდ...\*) **ნეპტუნი**

## წვერილი აბგებები

➤ **დრამატურგი ი. ბედვეანიშვილი** საშემოდგომო სეზონისთვის ამზადებს ახალ პიესას, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, პიესაში დახასიათებულია ქართველი ინტელიგენტის საქმიანობა.

➤ **სტ. ილ. მოსაშვილმა** დასწერა ახალი პიესა— „მოწვევტილი ყვავილი“, დრამა 3 მოქ. და 4 სურ. ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან.

➤ **დემ. კ. ჩხეიძე** უკ. თაა.

➤ **ქართ. დრამ. დანი** ორზაბათს, 7/III სახალხო სახლში წარმოადგენს „ოტელო“-ს (ოტელო— ალ. იმედაშვილი).

➤ **ქართულ-სომხური** წიგნთს ცავ სამკითხველთს დაარსება განუზრახავთ გროზნაში.

➤ **ნაპალადვის თეატრში** კვირას წარმოდგენილ იქნება „ორი დარაჯი“ და „იასონის ოინები“.

\*) ეს წერილი გვიან მივიღეთ. რედ.

➤ **წერილი „პირველი მარცხალი“**, გახ. „დროების“ გამოცემის 50 წ. შესრულების გამო, შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

➤ **ავლაბრის თეატრ-პალასში** შაბათს, 5/III წარმოდგენილი იქნება „უმუშევარი“.

➤ **მ. კავსაძის ლობზარობით** ხარებობა დღეს, 25/III სახალხო სახლში დიდი სახალხო კონცერტი გაიმართება.

➤ **ახ. გომანი ს. შანშიაშვილი** კვირას, 18/III, შუადღის 12 ს. „ახ. კლ.“-ში წაიკითხავს თვის ახალ პოემას „ბერლო ზმანია“-ს.

➤ **გამოვიდა** „ცისფერი ყანწები“.

➤ **„თეატრი და ცხოვრება“** სატილაოს სამკითხველთს გაუწერა ალ. კორძაია.

➤ **ავლაბრის ქართ. სახ. წარმოდგენები**: მმართველ წრის კრება შესდგა 28 თებერ. თ. კეკელიძის თავმჯდ. ივ. მჭედლიშვილის მდივნ. კრებამ დაამტკიცა: 1) ანგარიში წრის მოქმედებისა 1914—1915 წ.; 2) მომავალ ხარჯთ-აღრიცხვა და 3) განიხილა მიმდინარე საქმეები. გამგეობაში აარჩიეს: თ. ნასიძე, ალ. ჩერნიშვილი, ი. აბულაძე, ნანდ. ბაღდოყვისა და ზაქრო ხატიაშვილი. სცენის მოყვარეთაგან: არ. უმბრივი და ალ. თავდგირიძე. მათ კანდიდატებად, ივ. იმედაშვილი, იას. ბულაშვილი და გ. ბასილაშვილი. სარეგ. კომ.: თ. კეკელიძე, ალ. დავიდოვი და ივ. მაისურაძე. მათ კანდიდატებად: იოს. რევაზიშვილი და ან. გოჩიტაშვილი. კულტურულ საზ-თა კავშირში: გ. მამრადე, თ. კეკელიძე და თ. ნასიძე.

➤ **ღმინელ ზონძაძის** ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 6 მარტს, არტისტ. თეატრის დარბაზში სახ. უივერსიტეტი მართავს სალიტ.-სამუსიკო საღამოს.

➤ **ხარფუხის კლუბის** წევრთა წლიური კრება შესდგება კვირას, 6 მარტს, ანგარიშების განსახილველად და მამასახლისთა ასარჩევად.

➤ **სიტყვა-კაზმულ საზ-ის** კრება შესდგა 28/II კრებამ განიხილა გასული წლების ანგარიშები, მომავალ ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა და აირჩია გამგეობაში: გრ. რეხილაძე, შ. დედაბრიშვილი, კ. ზ. მაყაშვილი, ივ. ვართაგავა და ს. გორგაძე. სარეგ. კომისიაში: ი. ზურაბიშვილი, ალ. მირიანაშვილი და დ. ნახუცრიშვილი. კულტ. საზ. კავშირში: კ. ზ. მაყაშვილი, ილ. ზურაბიშვილი და გრ. რეხილაძე. საზ-ბას მხოლოდ ოთხი წიგნი გამოუტია (გრდემლი I და II, ბესიკისა და გრიშაშვილის ლექსები); თვალსაჩინო თანხა მოუგროვებია და საქმის გასაცხოველებლად დაადგინა საქმის მწარმოებელი მოიწვიოს.

➤ **მწერლები** ს. მგალობლიშვილი და დ. კლდიაშვილი სიტყვა-კაზმულმა საზ-ბამ საპატიო წევრებად აირჩია.



უკვე იბეჭდება  
ეკლასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

შეორებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნა-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილ-მოფარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგეარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნილ დირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შედავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი გამოსვლის ვამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან 50 კა).

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს (სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“  
Иос. Имедашвили.

## 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებშიანი ჟურნალი იუზმორისტული განყოფილებით, შარყებით და კარიკატურებით

წელიწადი  
მომთხზ

### „თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამოსვლისა მომთხზ

წელიწად  
5 მან.  
ნახ. წლ.  
8 მან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა ვარჯშეა, პროგრესული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს—2 მ. მ.ისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუბ. № 1, ვორონცოვის პატარ, ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.  
რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი  
ტილფონი № 15—41.